## ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის
## ბრძანება
ქ. ონი

N 19
09/01/2020

19-02-4-202001091035

### ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და ფუნქციები განაწილდეს შემდეგი სახით:

| | |
|---|---|
| დიმიტრი საყვარელიძე- მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე | პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან; |
| შუქურა ჯაფარიძე- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში; |
| იმედა მეშვილდიშვილი- მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში; |
| მირანდა მეტრეველი- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი | მუნიციპალიტეტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით; |
| თეიმურაზ გრძელიშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და | საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო |

| | |
|---|---|
| ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი | წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება; |
| გივი ბენდიანიშვილი- ზედამხედველობის სამსახურის უროსი | საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება; |
| მანანა გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულებით აყვანილი პირი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში | მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის საშუალებით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის; |
| თინათინ ბროლაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი | პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა; |
| მარიამ გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი | იურიდიული სამსახურის უფროსი მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა; |

2. სამუშაო ჯგუფის მოწვევა მოახდინოს პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა დიმიტრი საყვარელიძემ.

3. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბოს ყოველკვირეულად, საჭიროებისას-უფრო ხშირად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს თანახმად.

ემზარ საზანაძე

მუნიციპალიტეტის მერი